

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო
კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს “თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი” (შემდგომში – “სასწავლო უნივერსიტეტი”) „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება (შემდგომში – „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების და სასწავლო უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად;

1.2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე. რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

1.3. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ექვსი წლის გამოცდილება;

1.4. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება;

1.5. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

1.6. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

1.7. აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევა ხდება: პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის შემთხვევაში - 4 (ოთხი) წლის ვადით.

1.8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება წარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

2.1. სასწავლო უნივერსიტეტში კონკურსის გამოცხადება ხდება რექტორის ბრძანებით

2.2. კონკურსი ცხადდება საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე;

2.3. კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში მიეთითება ვაკანსიის რაოდენობა.

მუხლი 3. კონკურსისთვის წარმოსადგენი საბუთები, კონკურსის პირობები და ვადები

3.1.კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- კონკურსანტის ანკეტა (ივსება ადგილზე);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- 1 ფოტოსურათი ზომით (3/4)
- უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხის ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- ინფორმაცია ბოლო 10 წელიწადში საკონკურსო მიმართულების/დარგის შესაბამისად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ, მისი გამომცემი ორგანოს (სამეცნიერო ჟურნალის) რეკვიზიტების მითითებით;
- სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (შრომის წიგნაკის) ასლი ან ცნობა, დამსაქმებლის ან საარქივო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს შესაბამის გამოცდილებას;

3.2. ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს დოქტურანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

3.3.კონკურსანტი პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის სისწორეზე; დაწესებულება უფლებას იტოვებს გადაამოწმოს დოკუმენტაცია.

3.4.კონკურსანტს უფლება აქვს განცხადება შეიტანოს მხოლოდ ერთ აკადემიურ თანამდებობაზე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია და მისი მუშაობის წესი

4.1.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობას ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი;

4.2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ ხუთი წევრით;

4.3.საკონკურსო კომისიის წევრს უფლება არ აქვს იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი (კონკურსანტი);

4.4.საკონკურსო კომისიის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტი;

4.5.საკონკურსო კომისიის მიზანი და ფუნქციები:

- დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე შესაბამისი პირის კონკურსის წესით შერჩევა;
- პირის პროფესიული კვალიფიკაციის და კომპეტენციის შეფასება;
- რეკომენდაციის წარდგენა რექტორისთვის კონკურსანტების შეფასების შედეგების შესახებ;
- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
- კომისიის სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ;
- კომისიის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
- კომისიის სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე;
- კომისიის თავმჯდომარის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი;
- კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში - გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა;
- კომისიის წევრს უფლება აქვს განსხვავებული აზრი დააფიქსიროს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, რაც სათანადოდ აღინიშნება სხდომის ოქმში;
- კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად, დამოუკიდებლად აფასებს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. კონკურსანტის შეფასებას კომისიის წევრები ახდენენ კონკურსანტის შეფასების ფორმაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანით. ფორმაში შესატანი ინფორმაცია თანხმდება კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ, რასაც კომისიის წევრები ადასტურებენ შეფასების ფორმაზე ხელმოწერით;
- კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტს შეიძლება ჩაუტარდეს გასაუბრება, აგრეთვე, მოეთხოვოს საკონკურსო ლექციის საჯაროდ წაკითხვა, კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ლექციის ჩაწერა სტენოგრაფიულად ან ელექტრონული ფორმით;
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შეფასების საფუძველზე, კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონკურსანტების აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ;
- რეკომენდაციები ფორმდება საოქმო გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელს აწერს კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი;
- საკონკურსო კომისიის რეკომენდაციები, არაუმეტეს სამი დღის ვადაში წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად;
- კონკურსის შედეგები ქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

- კონკურსი არ შედგება, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნება წარმოდგენილი არც ერთი განცხადება; იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ შემოვიდა ვაკანსიების ნაწილზე, აღნიშნული ხელს არ უშლის სხვა ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას.
- კომისიის მუშაობა სრულდება მისთვის მინიჭებული ფუნქციის ამოწურვისთანავე, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

4.5. რექტორის გადაწყვეტილება აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

4.6. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს დასანიშნი პირის გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, სამსახურის ვადა;

4.7. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.8. საკონკურსო დოკუმენტაცია გადაეცემა სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

5.1 ამ დოკუმენტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ამ საკითხზე გამოცემული ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

5.2. ამ დოკუმენტში დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა რექტორის ბრძანებით;

5.3. დებულება ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.